გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


თ. **დავით დიმიტრის ძე ციციშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დედისა თვისისა **კნეინა თეკლე მიხეილის ასულის ციციშვილისას** და უმორჩილესად სთხოვს, ინებონ და მობრძანდნენ მიცვალებულის განსასვენებლად სოფელს ქვემო ხვედურეთს ენკენისთვის ათსა, დილის ათ საათზედ. (1—1)

## რედაქციისაგან

გაზეთი „**ივერია**“ 1-ლ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 75 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (3—3)

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა სთხოვს თავისს აგენტებს და ერთობ უველას, ვისაც-კი მასთან მიწერ-მოწერა აქვს რამე, წერილი, ფულიანი თუ უფულო, შემდეგის ადრესით ჰგზავნონ: Грувинское Издательское Товарищество. გამგეობის რომელისამე წევრის გვარი წერილზედ სულ მეტია, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება დროზედ არ იქმნას გახსნილი და პასუხი დაგვიანდეს. (2—2)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საუწყებლად ვაცხადებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება და ხელ-მეორე ეგზამენები დაიწყება 15 სექტემბრიდგან. I განყოფილებაში 40 ადგილია თავისუფალი, II-ში—20, III-ში—17 და IV-ში—10. შემომსვლელთ საბუთები ჩვეულებრივუნდა წარმოადგინონ.

სასწავლებლის მმართველი ს. ყიფიანი (4—2)

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისში 7 სექტემბერს სულ 3 ავადმყოფი იყო.

დილით 7 სექტემბერს მიხეილის სამკურნალოში ავადმყოფი არავინ იყო. ამ დღეს მოიყვანეს სტეფანე თევდორეს ძე ჭრელაშვილი (10 ნაწ., ანდრეევის ქუჩა, სახლი სერებრიაკოვისა); 8 სექტემბერს არც არავინ მოუყვანიათ და არც არავინ მორჩენილა.

სამხედრო სამკურნალოში მორჩა ზურაბ ვალიშვილი, ავად აღარავინ არის.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება, რომ 5 სექტემბერს სოფლად ავად გახდა 2, მორჩა 6, გარდ. 1, დარჩა 19. ქალაქში გახდა ავად 3, გარდ. 1, დარჩა 14; სოფლად 7 სექტემბერს გახდა ავად 2, მორჩა 12, გარდ. 1; ქალაქში ავად გახდა 2, გარდ. 2; ქალაქში ავად არის სულ 14, სოფლად 8.

ახალციხეში 7 სექტემბერს ავად გახდა 2, გარდ. 1, დარჩა 15; ავადმყოფნი წვანან სახოლერო ფარდულში.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ ხევიდამ ბ-ნ ა. კობაიძისაგან 2 მან, ამ ფულისა გვქონდა დღემდე 960 მან. 85 კაპ., ამიანათ შესდგა 962 მან. 85 კაპ.

*** 4 სექტემბერს განჯის გუბერნიაში ავად გახდა 95, მორჩა 28, გარდ. 54, ავად არის 119.

ერევანში 2 სექტემბერს ავად გახდა 3, გარდ. 2, მორჩა 2, ავად არის 11; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 5, გარდ. 6, მორჩა 111, ავად არის 73.

ქ. შურაში 4 სექტემბერს მორჩა 2, ავად არავინ გამხდარა; მთელს ოლქში ავად გახდა 86, გარდ. 41, მორჩა 16, ავად არის 496.

ქ. ყარსში ავად გახდა 5, მორჩა 9, გარდ. 6, ავად არის 27.

ქ. სტავროპოლში ავად გახდა 4, გარდ. 2, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 213, გარდ. 105, მორჩა 145.

ზაქათალას ოლქში ავად გახდა 4, მორჩა 1, გარდ. 3, ავად არის 14.

*** ორშაბათს, 7 სექტემბერს, $12\frac{1}{2}$ საათზედ, დღისით, ვერის ხიდთან, ნეჩიტალენკოს სახლში გრიშკა კრუშინსკიმ მოჰკლა თავისი ცოლი, პრასკოვია. ქმარმა თავისი ცოლი გამოათრია სახლიდგან და დიდის დანით ყელი გამოსჭრა. ცოლ-ქმარს უსიამოვნობა მოსვლიათ ფეხსაცმელების გამო. ვითომ ცოლს ესაყვედურნოს, ლოთობისთვის ჰხარჯავ ფულს და მე ფეხსაცმელებიც არ მაცვიაო. გრიშკა კრუშინსკი ორის საათის შემდეგ შეიპყრეს ვერის ერთს დუქანში.

*** უცნაური ქურდობა მოხდა გუშინ-წინ ღამ, 8 სექტემბერს: გაჰქურდეს მომრიგებელ-მოსამართლეს მესამე განყოფილებაში კამერა გამომძიებლის ბ-ნ კუზმინისა. კამერა გამომძიებლისა იმყოფება მეორე სართულში, კიბის თავზედ და დაკეტილი ყოფილა კარებში ჩამაგრებულის კლიტით. ამასთან მისავალი კარებიც დაკეტილი ყოფილა გასაღებითვე და შიგნიდგანაც რკინის ურდული ჰქონია გაყრილი. ქურდს ჯერ გარედგანვე კლიტე შერჩეულის გასაღებით გაუღია, კარი რომ არ გაღებულა, სადურგლო იარაღით სამის თითის დადებაზედ სიგანით და სიგრძით ხუთს გოჯზედ კარების თხელი ფიცარი ამოუჭრია, ხელი შეუყვია, რკინის ურდო ჩანგლიდგან ამოუღია და შესულა; ასულა კიბეზედ და გამომძიებლის კარების კლიტისთვის რომ ვერა დაუკლია, კარების თხელი ქვემო ფიცარი ამოუგდებინებია, იქიდგან შემძვრალა, შკაფის კარებები გაუღია და, რაც-კი რამ ძვირფასი ნივთეულობა ყოფილა, ვერცხლის ქამრები, ოქროული და სხ., სულ ერთიანად გაუზიდნია. ფული არა ყოფილა-რა და გამოსაძიებელი საქმეებიც უნაკლულოდ არის, თუმცა იქნება სდომოდა კიდეც რომელისამე საქმის წაღება და იქ არ დახვედრია. ეს გაბედული ქურდობა ისე ოსტატურად ჩაუდენია ავაზაკს, რომ იმოდენა სახლში არავის ხმაურობა არ მოსმენია. წაღებულია ყველა ის ნივთეულობა, რომელიც ებადა ან ჰქონია მიბარებული გამომძიებელს.

*** 7 ენკენისთვეს დანიშნული კრება ტფილისის ქალაქის საბჭოსი არ შესდგა, რადგანაც კრებას ხმოსანთა კანონიერი რიცხვი აღ დაესწრო.

*** ორშაბათს, 7 ენკენისთვეს, ქალაქის გამგეობის დარბაზში უცბად ავად გახდა ხოლერის მინაგვარ ავადმყოფობით ჩვენი თანამშრომელი ს. ჭრელაშვილი, რომელიც ამ ჟამად უკედ არის და ხვალ-ზეგ სრულიად მორჩება. ქალაქის გამგეობის სადგურში დეზინფექცია მოახდინეს.

*** როგორც შევიტყეთ, სომხური დრამატიული დასი წარმოდგენების მართვას ამ სექტემბრის 17 რიცხვს დაიწყებს.

*** უმართებულესმა სენატმა ბრძანება გამოსცა, რომ ამიერიდგან მთელს რუსეთში სასმელების ვაჭრობა ებრაელთ მხოლოდ საკუთარ სახლებში შეეძლოთო.

*** ბაქო: რკინის გზის სადგურზედ 6 სექტემბერს რკინის გზის მოიჯარადრეს კუბიცკის სახლში შევიდნენ ავაზაკები და მოიპარეს 630 მ. ფულად და სხვა-და-სხვა ნივთი, 190 მ. ღირებული.

*** განჯა: 5 სექტემბერს რკინის გზის ორს დარაჯს დაეცნენ ავაზაკები და წაართვეს 272 მ. ფულად და სხვა-და-სხვა ნივთეულობა.

# ფელეტონი

## კაცია

ტრაგედია ჩვენის დროისა

(სცენა ამოღებულია ხსენებულის თხზულების პირველ მოქმედებიდგან)

კაცია, ილიკო (ექიმია), შემდეგ მაკაია (გამდელია) და მანუჩარ (მამაა კაციასი).

ილიკო

მოჩვენება?!

კაცია

დამიგდე ყური:
ერთხელ მომესმა ხმა საამური
და ისე ტკბილი, რომა მეგონა
მეძახის ბავშვი მცირე-წლოვანი.
მიმოვიხედე: ჩამოეყონა
ნამსა მიდამო; ცა ვარსკლოვანი
ჰქშინავდა ეშხით არ-მიწიერით...
იქით-აქეთა—არაფერია!
მეც გამოვწიე შინისკენ მღერით,
წამოველ, მაგრამ მე ამერია
მის შემდეგ, ძმაო, გონება-გული.

ილიკო

ეჰ, იქნებოდი ან დალალული...

კაცია

წუხელ, ბატონო, ჩაფიქრებული
მოვდივარ, უცებ შეჩერდა ცხენი!
ვხედავ, სჩანს რაღაც თეთრად მორთული,
საროსტანისა ამაყად მჩენი.
ვიგრძენ, რომ შიშით გული მევსება
და ენა აღარ მემორჩილება.
„ვინა ხარ!“ ძლივს-ღა შევსძახე ესა
და ღონივრადა ცხენსა გავკარი.
მთამა ჩემს მათრახს თან მოაკვნესა
და კვლავ სიჩუმე გამეფდა მკვდარი.
არ მიდის იგი, არც იღებს ხმასა,
ქუდი ვერ მიჰქრს ზე-ამდგარს თმასა;
ჰფრუტუნებს მხოლოდ, არ მიდის ცხენი...
რა უნდა მექნა?—მე ჩამოვხტენი
და მამაცურად გავსწიე მკლავი,
ვეცი... შეირყა, შეიტრიალა,
დაჰკივლა, კვნესით დაიკრიალა,
თითქო მოსწყვიტა ციდან ვარსკვლავი;
ვით უჩინარი განმიქრა წინა
და ხელში შემრჩა ჩემი ხანჯალი...
მხოლოდ მის თმასა კოჭებამდინა,
თმასა მშვენიერს მოვკარი თვალი.
(გამოდის მაკაია, სცდილობს ნემსი ააგოს)
არიქა, მაკა, არ დააცილო.

მაკაია

კი ნუ დამცინი, მიშველე, შვილო!

კაცია

დამეხსენ, მაკა! გითხრა მართალი,
მეც ვეჭვ, ვარჩევდე ხარიდგან ფურსა:
ჩვენ ყველას, მაკა, გვატყუებს თვალი,
საჭოჭმანოა, რაც ესმის ყურსა.

მაკაია

ჩემსა ადარებს! შენსა თვალებსა
სინათლეცა აქვთ, სილამაზეცა;
და ისთე მაკას ჰწყალობდეს ზეცა,
როგორც უღელავს გული ქალებსა
მათის ეშხითა, მათ ვენაცვალე.

კაცია

ვის უნდა ნემსი?

მაკაია

ოტიამ გთხოვა.

კაცია

აი ბაღშია; მიუტა მალე:
შენის ნემსისთვის აქ-კი არ მოვა.
(მაკაია გადის; ილიკოს)
აგრე, ილიკო.

ილიკო

ალბად ხარ ავად.

კაცია

„ავად ხარ!“ აი ექიმთა წესი!
მე ვარ, ჩემისავ გულის საკლავად,
შენზე, ილიკო, უჯანმრთელესი.
მაქვს მაჯის ცემა დამშვიდებული,
მადა კარგი მაქვს, კარგი მაქვს კუჭი;
მკერდში ხომ მაინც მიღელავს გული,
ცხოვრება ჩემი თუ არის ფუჭი.
თუ ნება ჩემი თანდათან ჰქრება
და აღარ არის შენისთან სწორი,
მეტყვის-კი მაინც მეხსიერება,
რომა ოთხია ორჯერა ორი.

ილიკო

ნუ მოგდის გული, ნუ გეწყინება
და როგორც ექიმს დამიგდე ყური,
და რჩევა ჩემი არც შენ გაქვს ნება
არ აასრულო, თუ არის ძმური.
წავიდეთ ჩემსა! დღე ერთი-ორი
დაჰყოფ ჩემთანა,—შენი ჭირია;
ვნახოთ მიდამო, მთა და მინდორი;
სოფელი მეტად მშვენიერია.
ხალხიც კარგია; არ გადის წამი,
რომ არვინ მნახოს... საკვირველია:
ზოგს კვერცხი მოაქვს, ზოგსა ქათამი,
ზოგი-კი გულით მადლობელია,
რომ ავაცილე სნეულს სიმწარე,
თუმც, ღმერთმა იცის, რამ მოარჩინა.
წამო, გაიარ-გამოიარე;
როს მოგწყინდება, დაბრუნდი შინა.
მაშ ჰო, მოდიხარ?

კაცია

და კმაყოფილი
ხარ შენა შენის მოღვაწეობით?

ილიკო

ალბად ამისთვის ვარ მე შობილი
და ვეკიდები საქმეს მხნეობით...
მაგრამ, კაცია, ჯერ ეს მითხარი:
მოხვალ, თუ არა?

კაცია

არა, არ მინდა;
მადლობელი ვარ.

ილიკო

ვითომ რა არი?
რატომ?

კაცია

უაზრო თრევაც მომწყინდა.

ილიკო

რა გამოვიდა! იქნებ გგონია,
რომ შენი ვარი მოსაწონია?
შინა დამჯდარხარ, აღარა სჩანხარ,
შენზე წრეებში არა-რა ისმის,
და ზოგიც ჰფიქრობს, რომა მსხვერპლი ხარ
გულფიცხობისა და ეგოიზმის.

კაცია

კარგი.

ილიკო

ჰო, კარგი. სხვა, შენ რასა იქ,
რასა აკეთებ?

კაცია

მე არაფერსა.

ილიკო

ძალას ნუ ჰფანტავ შენსას აქა-იქ,
ცოტას ვარს ნუ ჰყოფ, ნუ მისდევ ბევრსა.
თორემ მართლაც რომ ცოდვის სიმრავლე
დაგაწყებინებს ოხვრასა მალე.

*** სურამი: გომში ხოლერის ხელახლად გაჩენამ კიდევ ჩაგვყარა ფიქრსა და საგონებელში. შესაძლოა, რომ ახლა ველარ გადარჩნენ ის სოფლები, რომელნიც სურამის ახლო-მახლო მდებარეობს. ზოგიერთ ამ სოფლებში, მართალია, გზები შეკრულებია და არავის უშვებენ შიგ, თუ მოწმობა არა აქვს, რომ ნასხურებია და განკურნებული, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ სენი იმათაც ესტუმროს. ამისთანა შეკვრას, ისა სჯობიან, სისუფთავისათვის იზრუნონ და სადეზინფექციო წამლები იღონონ. ზევრი სოფელი მეტის-მეტად უსუფთაოა. უნდა ვსთქვათ, რომ აქეთ მხარეს ძალიან დიდი სისუფთავეა სოფ. ალში, ბრილში, აგრეთვე ფცის ხეობის ზოგიერთს სოფელში, საცა ადგილობრივნი შეგნებულნი კაცნი და მემამულენი ცდილობდნენ ამ საქმისათვის.

*** კნოლევი (გორის მაზრა): ამას წინად შეცდომით იყო მოხსენებული, რომ ვითომ ძველი გამგებელი ფალავანდიანთ სატყეო კანტორისა თ. ივანე გიორგის ძე ფალავანდიშვილი დათხოვნილ იქმნა და მის მაგიერ აირჩიეს თ. ნიკოლოოზ დიმიტრის ძე ჯავახიშვილიო. კანტორის გამგებლის დათხოვნა და დაყენება კანტორის ზედამხედველ კომიტეტის ნება და უფლებაა, ხოლო ამ კამიტეტს არც ძველი გამგებელი დაუთხოვნია და არცა-რა ვინ ახალი დაუნიშნავს. ტყის მონაწილეთა შორის ფალავანდიანთში დას-დასობა დაიწყო და თითოეულს დასს თავისი კაცი უნდა გამგებლად. ყოველ ამ დასობისა და ამის გამო წარმომდგარ უსიამოვნობის ასაცილებლადსასურველია ამორჩეულ იქნას სულ უცხო კაცი, რომელიც ამ დასობის გარეშე იდგება. ხოლო თუ ისევ მონაწილეთა შორის ამოირჩევენ გამგებელს, დავიჯეროთ ფალავანდიანთში ვერ აღმოჩნდება ისეთი კაცი, რომ კანტორის საქმეებს გაუძღვეს?

*** რაჭა: ჩვენც გვეწვია „ხოლერა“. ამ სენმა თავი იჩინა 22 ივნისს ზნაკვის საზოგადოებაში და ცხრა კაცამდე იმსხვერპლა. მკვიდრნი შიშის გამო ტყეებში დაიფანტნენ. სენის წინაალმდეგ ბრძოლა გაძნელდა. პოლიციასაც-კი არავინ აცნობა დროზედ. მხოლოდ ამ ბოლოს დროს ბ-ნმა მდივანმა, გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე მაზრის უფროსს შეატყობინა, თვითონაც, რაც-კი შეიძლებოდა მისის მხრით, არ დაჰზოგა თავი და მხნედ დაუწყო ბრძოლა სენს. მაზრის უფროსი ბ-ნი ქავთარაძე, ექიმი ფანიაშვილი, ფერშალი ზ. გძელიშვილი შეუდგნენ საქმეს. დაგვეხმარა აგრეთვე მკურნალი სეგალი მეუღლითურთ. ამ სახით ზნაკვის საზოგადოებაში ხოლერა მიწყნარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იჩინა თავი სადმელის, ამბროლაურის და წესის საზოგადოებაში, სადაც იმსხვერპლა ხუთი თუ ექვსი სული. დაბა ონი და მისი ახლო-მახლო სოფლებიც ვერ გადურჩნენ სენს, იქაც გაიკეთა ბინა და ჰხოცავს ხალხს. ადმინისტრაცია მხნედ იბრძვის და ყოველს ღონისძიებას იღებს სენის მოსასპობად. ქვემო-რაჭაში დიდად ცდილობენ სისუფთავის დაცვას, საავადმყოფო ფარდულები ყველგან მზად არის. იმედია, რომ სენი მალე სულ გაჰქრება და მერმისისთვისაც აქ ველარ დაიბუდებს.

*** ბრეთი (გორის მაზრა): გადავრჩით როგორც იყო ხოლერას, თუ ახლა კიდევ ხელ-მეორედ არ დაგვიბრუნდა. აქეთკენ სოფლებში დააქვთ სხვა-და-სხვა მებაღეებს საზამთრო; სოფლად სხვა ყოველ-გვარი ხილიც ბევრია და შესაძლოა, იმათმა ჭამამ და გაუფრთხილებლობამ კვლავ გაავრცელოს სენი. ხოლერასთან ბრძოლაში თავი იჩინა აქაურმა მემამულემ გ. ქ—მა, რომელიც დადიოდა ხოლერიანთა ავადმყოფებთან და სწამლობდა. იმის წყალობით რამდენიმე ავადმყოფი გადარჩა სიკვდილს ბრეთსა, დირბსა და ძლევისჯვარსა.

*** გომი (გორის მაზრა). ვთქვით, ეს არის გადავრჩით ხოლერასაო, და ის-კი არა თუ ამ სიკეთის დროს 1 სექტემბერს ამ სენმა იჩინა კიდევ თავი; გომელებს ეს თავიანთი უბედურება, არავისთვის არ უცნობებიათ, ვაი თუ ჩვენი ავადმყოფები ბარაკში წაიყვანონო და იქ მკურნალებმა მოჰკლანო; 5 სექტემბრამდე გამხდარა ავად თერთმეტი სული, ამათში გარდაიცვალა 4 და 5 სექტემბერს— ექვსი სული: ნინიკა გიკაშვილი, იმისი ცოლი და იმისი შვილი, ლექსა და ნინია ჩოჩიშვილი და თედო ჩოჩიშვილის მეუღლე. ხუთიც კიდევ ავად არის.

5-ს სექტემბერს მოვიდა პოლიციის მოხელე ღონისძიებათა მისაღებად და უნდოდა ავადმყოფნი ბარაკში გადაეყვანა, მაგრამ ამაზედ უარი გამოაცხადეს ყველამ, ავადმყოფებმა და იმათმა პატრონებმა. პოლიციამ ძალა ვერ დაატანა და ავადმყოფები ჯერ ისევ თავიანთ სახლებში დარჩნენ. ადვილად შეიძლება, რომ ეს სენი ყველა იმ სოფლებშიაც გადავიდეს, სადაც დღემდე მშვიდობიანობა იყო: ვაყა, აძვისი, კოდა, ფლევეში, საფალავანდო და სხვა და სხვა სოფლები.

როგორც აღმოჩნდა, სენი გავრცელებულა დიდის უსუფთაობის გამო; ამასთანავე აქ მოუტანიათ ახლო-მახლო სოფლებიდამ ნესვი და საზამთრო; ზოგი პურზეთ და ქერზედ გაუცვლიათ, ზოგიც ფულზედ გაუყიდნიათ; ნესვი და საზამთრო მკუხე და მოუსვლელი ყოფილა. ლექსო ჩოჩიშვილს ბევრი საზამთრო უჭამია და იმავ ღამეს გამხდარა ავად; საჭიროა აეკრძალოს მებაღეებს ნესვისა და საზამთროს გაყიდვა და ყველა ავადმყოფები გადაყვანილ იქმნან ეხლავე რკინის გზის ბარაკში, რომელიც აგებულია შიგ გომშივე.

*** გაზეთი „Новости“ იუწყება, რომ იუნკრის სკოლებში შემოღებული იქმნება ფრანგულისა და გერმანულის ენების სწავლებაო.

*** 9 სექტემბერს დიდუბეში თავი ჩამოირჩო კავკავის მცხოვრებელმა ტიხონ მეშჩერიაკოვმა, 35 წლისამ. მეშჩერიაკოვი თავის სიცოცხლეს სულ სიმთვრალეში ატარებდა.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: გენერალ-ლეიტენანტობა თ. თუმანოვს და თ. ბექთაბეგოვს; პორუჩიკობა: თ. გრუზინსკის; შტაბს-კაპიტნობა: თ. გურამოვს. ორდენი თეთრის არწივისა: გენერალ-ლეიტენანტს სტეფანე ქიშმიშოვს. ორდენი წმ. ანნასი 3 ხარისხისა ნიკოლოოზ არჯევანიძეს; ორდენი სტანისლავისა 2 ხარისხისა პოლკოვნიკს ტარიელ ჯავროვს; ორდენი სტანისლავისა 3 ხარისხისა კაპიტანს გიორგი ქორქაშვილს. ორდენი წმ. ანნასი 2 ხარისხისა სოლომონ ჯაეროვს. უმაღლესი მადლობა გამოეცხადა უფროსს ადიუტანტს კავკასიის ჯარების კორპუსის უფროსისას თ. ბებუთოვს.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობისა გამო კოლეჟსკი სოვეტნიკი ნიკოლოოზ ჩარკვიანი.

მიღებულ იქმნა სამსახურში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ივანე იალბუზიძე, დათხოვნილ იქმნა ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ალექსანდრე ხაბურზანია.

ებოძათ: ორდენი წმინდა ვლადიმერისა, მესამე ხარისხისა სომხურის ენის ცენზორს სტატსკი სოვეტნიკს ქიშმიშოვს.

ორდენი წმ. ვლადიმერისა მეოთხე ხარისხისა ქართულის ენის ცენზორს სტატსკი სოვეტნიკს თ. რაფ. ერისთავს.

ორდენი ანნასი მეორე ხარისხისა: ერევნის სავლხო სკრებულოს წევრს, სტატსკი სოვეტნიკს უზბაშევს, ტფილისის საზებიო ინსტიტუტის მასწავლებელსა და მკურნალს ანანოვს და მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმეთ-მწარმოებელს თ. გ. თუმანიშვილს.

წმ. სტანისლავა მეორე ხარისხისა: ნუხის მაზრის უფროსს ნადვორნი სოვეტნიკს ასანიძეს; სამტრედიის პოლიციის ბოქაულს დუმბაძეს, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უჩების უნცროსს მეხანიკს აბაშიძეს.

წმ. სტანისლავა მესამე ხარისხისა: შორაპნის მაზრის პოლიციის ბოქაულს ნადვორნი სოვეტნიკს წერეთელს, საქმეთ-მწარმოებელს თელავის სამაზრო სამმართველოსას საყვარელიძეს; ბორჩალოს მაზრის უფროსის უნცროსს თანაშემწეს თ. აფხაზს; ბათუმის საპოლიციო ავაცერს თოფურიძეს.

კოლეჟსკი სოვეტნიკობა: ბათუმის სარკინის-გზო საფოსტო განყოფილებათა უფროსებს: იოსებ ყიფიანს, ფარნაოზ ნათიშვილს, და პლატონ ქიქოძეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**საჩხერე**, 12 აგვისტოს. თუმცა საჩხერე, როგორც „ივერიის“ მკითხველებმაც იციან, ერთი მივარდნილი კუთხეა, მაგრამ ძალიან ადვილად შესაძლოა, საშიშარმა მტერმა ხოლერამ აქაც ამოჰყოს თავი. და თუ ერთხელვე მან აქ თავი იჩინა, მერე კარგი უნდა, რომ ის აქედგან კაცმა გასდევნოს. საჩხერეში ერთი ხელის ოდენა ადგილზედ სცხოვრობს 1500 მეტი მცხოვრები, რომელიც შესდგება თითქმის სულ ურიებისა და სომეხთ ვაჭრებისაგან. ქართველები-კი შედარებით ძალიან ცოტანი არიან. სახლები მთელის მცხოვრებლებისა ისეა ერთმანეთზედ მიდგმული, რომ შუაში გავლაც შეუძლებელია. ეზოების სიწმინდესა და სისუფთავეზედ ხომ აქ არასოდეს არა ჰქონიათ წარმოდგენა.

ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა ადგილობრივს გაზეთებშიაც დაწერილი, მაგრამ ყოველთვის რჩებოდა „ხმად მღაღადებელისა“... ახლა-კი ამ საშიშარს დროს, როდესაც ყველამ გამოიღო ყურში ბამბა და შეება მტერს საბრძოლველად, რასაკვირველია, საჩხერესაც უნდა მიექცია ამისათვის ყურადღება. როგორც სხვაგან, აქაც შეუდგნენ ვითომ ბაზრის სისუფთავეს: გააკეთეს საავადმყოფო, შეაკეთეს ქუჩა; მაგრამ ვინ გააკეთა ესენი? ქუჩა გაუკეთეს საჩხერლებს სოფლელმა გლეხებმა უსასყიდლოდ; საავადმყოფო გაუკეთეს საჩხერლებს იმავე გლეხებმა; იმ გლეხებმა, რომლების ნაწვავ-ნადაგი მუქთადა რჩება ყოველ წელს საჩხერლებს. დაურჩათ ამ უკანასკნელებს მხოლოდ ეზოები დასაწმენდადა და ეს ეზოებიც მათ დღემდის ვერ გაუწმენდიათ. თითქმის ნახევრობას ფეხის ადგილებიც-კი არა აქვთ. მგონია, უცდიან—იმავე გლეხებს გააწმენდინებენო.

თუმცა ადგილობრივი ექიმი დიდი ხანია ყოველს ღონის-ძიებასა ჰხმარობს უწმინდურობისა და სიბინძურის გაძევებისათვის, მაგრამ მარტო მან ვერა გაარიგა-რა. და-

---

რა გინდა, კაცო? შენ ჩამოხველი,
ბოროტებასთან დაიწყე ბრძოლა;
შენ შენის ხარჯით გაჰმართე სკოლა,
მელნიანიც გაქვს ჯერ საწერელი.
და ამ საქმეებს თუ უერთგულე...

კაცია
კმარა, არ იცი... ვერ ავასრულე,
მე რაცა მსურდა.

ილიკო
რა იყო ძნელი?

კაცია
ძნელი თავია და დასაწყისი
მოქმედებისა,—რა არი მერე?
დასაწყისს ბოლოც მოჰყვება მისი,
თითქო სხვა უკრავს, შენ—დაამღერე.

ილიკო
შენ ვერ დაიწყე?

კაცია
ვერც ვეკარებით
ჩვენ უფრო დიდსა ბოროტებასა;
ის-კი ცოტაა, რაც დაწვრილებით
შენ ჩამოთვალე.

ილიკო
ეჰ, დაჩქარებით
ჩვენის ცხოვრების განახლებასა
ჩვენ ვერ შევიძლებთ. ვიშრომოთ
წყნარა,
ვინ მოგვდევს, კაცო, რამ აგვაჩქარა?!

კაცია
კმაყოფილიც ხარ!

ილიკო
სულიც არ მტკივა.

კაცია
საქმეებიცა გაქვს...

ილიკო
სალა წამიხვალ,
წინ არ მიწყვია ათასობითა?

მანუჩარ (შემოდის)
ჰო, დრო ატარეთ ბაასობითა!
მაკვირვებს შენი დაუდევრობა!
მერწმუნე, რომა მამა-პაპეულს,
მამულს მდიდარსა, შენგან დაბნეულს,
ვერ-რას უშველის ენამჭევრობა.
აქ უნდა ხელი, ხელი მშრომელი,
რაც იყო უწინ, ეხლა არ არი.
წახდა მამული!

კაცია
მამავ, რომელი,
რა მამულია, ერთი მითხარი.

მანუჩარ
შენი, ჩემ მიერ მოპოვებული.

კაცია
რამ წაახდინა?

მანუჩარ
რომ გითხრა რამე,
შენ გეწყინება, მოგივა გული.
რას გეტყვი? ჰფანტე, ყველას აჭამე.

კაცია
ვის რა ვაჭამე, რას ამბობ?

მანუჩარ
შვილო!
სამწუხაროა და სასირცხვილო,
მამულის მოვლა რომ არ იცოდე.

ილიკო
მანუჩარ, ნეტა შენ არ იტყოდე...

მანუჩარ
რას არ ვიტყოდე? რამდენი ფული
თქვენს აღზრდაზეა გადალეული?
თქვენ ჰკითხულობდით, თქვენა სწავლობდით,
თავსა აკლავდით მეცნიერებას;
ყოველს კილოზედ გაიძახოდით:
„გვსურს ვემსახუროთ ქვეყნიერებას!“
ჰნახეთ ქვეყნები და ქალაქები,
ევროპა თქვენა მოიარენით,
და განათლება თქვენი ნაქები,
რასაც ველოდი ნატვრით და ლხენით,
სადღაა ეხლა?

კაცია
მეც ამას ვჩივი!
სჯობდა აქ ყოფნა დადუმებული,
მინემ იქ აშლილ, იქ მიღებული
გრძნობა მღელვარე, მსჯელობა ცივი.
მაშინ ხომ ტანჯვის დღესასწაულსა
ვერ შეამჩნევდა ჩემი გონება,
ვერ მოიკლავდა მიჩვეულს გულსა
შემოჩვეული ქვეყნის მონება;
აზიის შვილსა მომცემდა კიდე
ახალსა ძალას უგნური რწმენა
და მექნებოდა მუდამ სიმშვიდე,
დავბერდებოდი ტკბილად, ვით შენა.

ილიკო
ჰო, კარგი ეხლა! ესეც მოჰყვება.

მანუჩარ
მისთვის არ მითქვამს მე, შვილო'
რომა
საწყენი იყოს,—როგორ იქნება?
აი ბიჭებმა—იმათ ღვთის წყრომა!—
შემატყობინეს, რომ მგელსა ჩვენი
შეუჭამია კინალამ ცხენი.

ილიკო
ეგ სად მომხდარა?

მანუჩარ
არც-კი იქნება
აქედგან, გესმის, ნაბიჯი ოცი;
არ ვიცი მგელი აქ როგორ ჩნდება,
ზიანი არის-კი გასაოცი.

ილიკო (იქით)
ეს მოყიჭინე, ეს უგუნებო...
გაუწევ ორსავ მე სამსახურსა
და დავამშვიდებ... (მაღლა)
ჰა, ბატონებო!
აზრს მოგახსენებთ გენიოსურსა:
მე და კაცია—სხვაცა იქნება—
წავალთ, ამ ტყესა გადვინადირებთ,
და თვალში ტყვია თუ-კი მოჰხვდება,
მგლებსა და დათვებს დედას ვუტირებთ.

(გაჰყავს მანუჩარი)

კაცია
და დავუმტკიცებთ მამაჩემს, რომა
ჩვენც შეგვიძლიან კაცური შრომა!..

(მარტო)
თავში აზრები გებადებოდეს
და უნაყოფოდ იქვე ჰქრებოდეს;
ტვინსა გიწვამდეს იმათი ბრწყენა,
ალი ციური, ცით მონატაცი,—
და ვერ დასწერო, შეგიკრან ენა,
არცა-ღა გყავდეს გამგონე კაცი...
როგორც ცისკენა ტურფა ვარსკვლავი
გულს გიტაცებდეს შრომისა ხევა,
და შეკრულ გქონდეს მაგარი მკლავი,
ველარ შეიძლო მისი დანძრევა...
გინდოდეს ლხენა, დღეი მზიანი
და სიყვარული, შვებისა წყარო,
და არსად იყოს ადამიანი,
რომ სული მისცე, რომ შეიყვარო...
ჰხედავდე ტანჯვას მთა და ველადა
და ბოროტებას გამეფებულსა,
და ვერ ამჩნევდე საბრძოლველადა
ორს კაცსაც ძმურად შეერთებულსა...
ოჰ, სატანჯველი აი ეს არი,
ამის ატანის არა მაქვს ძალა:
ან უნდა გატყდეს გულის ფიცარი,
ან-და გამისქდეს თავისა ქალა!

გიორგი გვაზავა

წესდა აქაც „სასანიტარო კომისია“, მაგრამ არცარა აქედგან გამოვიდა-რა. ერთი თვე გადის, რაც ეს „კომისია“ დადის სახლიდგან სახლამდის, მაგრამ ამასაც ვერაფერი გაურიგებია. ან რა უნდა გაარიგოს, როდესაც არავითარი საშუალება და გარემოება მას ხელს არ უწყობს; მათი შეყენებული ოქმები ოქმებადვე რჩებიან.

აქაური ვაჭრები სრულიად დარწმუნებული არიან, ჩვენ ისეთი აზატები ვართ, რომ არავითარს ვალდებულებას და წესდებას არ ვექვემდებარებითო.

იმ დროს, როდესაც აქ, ბაზარში, ფულით მდიდარს ხალხში, ამისთანა უწესოება და ურიგობა ჰსუფევს, ჩვენი სოფლელი გლეხი და აზნაური სულ სხვას წარმოგვიდგენენ. ყოველს სოფელში გაიკეთეს კარვები ავადმყოფთათვის, დასწმინდეს, დაასუფთავეს ეზოები და დაუცხრომლად ადევნებენ თვალ-ყურს — არსაიდგან შემოიპაროს ის უჩინარი მტერიო. ამას განსაკუთრებით უნდა ვუმადლოდეთ იდგილობრივს ექიმს ბ-ნს გრ. ელიავას, რომელმაც იმდონად დაიმსახურა უმეცარის ხალხის ნდობა და პატივის ცემა და მოიპოვა გავლენა, რომ ყოველი გლეხი ისე უცქერის, როგორც ნუგეშის მცემელს და გამომხსნელს გაჭირვებისაგან. როდესაც სხვა კუთხეებში, როგორც გაზეთებიდგანა სჩანს, გლეხები ექიმებს ავადმყოფებს უმალავენ და არ ატყობინებენ, თუ მათ შორის სენი გაჩნდა, აქ-კი, უბრალოდ თავიც რომ წამოსტკივდეს გლეხს, ის მაშინვე ან თითონ მირბის, თუ შეუძლიან ექიმთან და ან სხვას აფრენს,—მომეშველეთ, ხოლერა არ იყოსო. თუმცა ამით დიდი შრომა მოსდის ჩვენს ექინს, მაგრამ საქმე-კი ისე აქვს დაყენებული, რომ სენი მის გაუგებლად ვერ შემოიპარება მთელს ზემოიმერეთში. აი, მაგალითად, როგორს თვალ-ყურს ადევნებს ხალხი და რანაირი მოხსენებები მოსდის ექიმს სოფლებიდგან: სოფლის ზოდის მამასახლისი სწერს: თბილისიდგან დაბრუნდნენ № და №; თვალ-ყურს ვადევნებ, მესამე დღეა, ჯერ ჯანმრთელად არიან. და სხვა-და-სხვა.

ვინ დაჰბადა ამ მივარდნილს ადგილს და უმეცარ ხალხში ამისთანა ნდობა? რასაკვირველია, იმავე ექიმმა, რომელიც არ არჩევს არც დროს, არც გარემოებას და მოუსვენრად დარბის სოფლიდგან-სოფლამდე, და აი ეს არის მიზეზი თუ დღემდის აქ ხოლერა არ შემოპარულა.

ზემოური

## ჩემი თარგმანები „ჩანგში“

(წერილი რედაქციის მიმართ)

მე სრულიად არა ვარ იმისი წინააღმდეგი, რომ ჩემს ნება დაურთავად გადიბეჭდოს სადმე ჩემი დაბეჭდილი ნაწერები. პირ-იქით, მე იმ აზრისა ვარ, რაც უფრო ბევრი იქნება დაბეჭდილი და გავრცელდება ის აზრები, რომელნიც მე მინდა გავიყვანო ჩემი ნაწერებით ხალხში, იმდენი უფრო სასიამოვნო იქნება ჩემთვის, რადგან ჩემს ნაწერებს სხვა არავითარს მნიშვნელობას არ ვაძლევ, გარდა იმისა, რომ მინდა ჩემი ცოდნისა და შეძლების დაგვარად ამ ნაწერებით სარგებლობა მოუტანო მკითხველებს. მაგრამ ამავე დროს არ შემიძლიან არ მოვითხოვო უბრალო ზრდილობა, უბრალო თავაზა მათგან, ვინც გადაჰბეჭდიან ან დაჰბეჭდიან ჩემს ნაწერებს, რომ ჩემს დაუკითხავად არავითარი ცვლილება ამ ნაწერებში არ მოახდინონ.

ჩვენ ეს გვათქმევინა „ჩანგის“ მეორე გამოცემამ. დიდი სიამოვნებით მივეგებე მე ამ სასიამოვნო საკითხავს წიგნს. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემს ნათარგმნს ლექსებში, რომელნიც არიან ამ წიგნში დაბეჭდილნი, ვპოვე ისრეთი ცვლილებანი, რომ არ შემიძლიან დავტოვო შეუნიშნავად. ყველას-კი არა, რადგან დიდს ადგილს დაიჭერდა, მოვიყვან მხოლოდ უფრო შესანიშნავს ცვლილებასა, რომელნიც „ჩანგს“ მოუხდენია ამ ჩემს თარგმანებში.

მე მქონდა „ცისკარში“ 1867 წ. დაბეჭდილი თარგმანი ნეკრასოვის ლექსისა „Размышленія у парадна-го подъѣзда“ ამ გვარი სათაურით: „ფიქრები საპარადო მისავალთან“. ჩანგში ეს ლექსი გადუბეჭდიათ და ეს სათაური გადაუსწორებიათ ასრე: „ფიქრები სასტუმრო კარებთან“. ეს ლექსი ჩემს თარგმანში იწყობა ასრე: „აი საპარადო მისავალი!“ ჩანგში გადაუკეთებიათ: „აი სასტუმრო კარები!“ ჩემი ლექსია ათ მარცვლოვანი, იქ გადუკეთებიათ რვა მარცვლოვანად. ჩემს ლექს, რომელიც თავდება სიტყვით მისავალი, აქვს რითმი მესამე სტრიქონში: შეპყრობილი, რომელიც სრულიად არ ერითმება სიტყვას კარები. თუმცა ბევრი სახარბიელო რითმი არც ჩემსაშია, მაგრამ გადაკეთებულში სიტყვა კარები და შეპყრობილი ერთმანერთს ისრევე ეწყობიან, როგორც ერთი სომხის ზმა საზამთროზედ.

მეორედგან ამავე ლექსში მაქვს ნათქვამი: „მიგვიშვი,—უთხრეს ღრეჯით გლეხკაცთა“. ჩანგში ღრეჯა გადუსწორებიათ ღრეჭად. ღრეჯასა და ღრეჭაში ისეთივე გარჩევაა, როგორც ტირილსა და სიცილში. იქ სწორედ სატირელს საგანზედ არის ლაპარაკი და არა საცინელზედ.

ნეკრასოვიდამვე მაქვს ნათარგმნი „Убогая и нарядная“, რომელსაც ქართულად დავარქვი „ღარიბათ მორთული და მდიდრათ გამოწყობილი“. ამ ლექსში მაქვს მე ერთს ალაგას ნათარგმნი: „და ბოლოს გაჰყვა ერთ მადამასა საკერავისთვის მაღაზინშია“ ჩანგს ეს არ მოსწონებია და ასე გადუკეთებიათ: „და ბოლოს გაჰყვა ერთს „მამაშასა“ საკერავისთვის მაღაზინშია“. სიტყვა მამაშასა ჩაუსვამთ ფრჩხილებში. ნეტა რომელს „მამაშასა“ აქვს საკერავის მაღაზინები?!.. არც ნეკრასოვს და არც მე სიტყვა „მამაშა“ ნახმარი არა გვაქვს.

აქვე ამავე ლექსში მაქვს ნათარგმნი სიტყვა „французское“ „ფრანციცული“. ჩანგს გადუკეთებია ეს სიტყა სიტყვად „ფრანგული“. რა მიზეზითა და რათ ვხმარობ მე სიტყვებს, რომელსაც ჩვენი ეხლანდელი მეტი წილი მწერლობა ჰხმარობს, ეგ ძალიან შორს წამიყვანდა, რომ ყველასთვის ახსნა მომეცა. მაგრამ ვფიქრობ, ჩემი ტერმინებისა, ჩემი სიტყვებისა ჩემს ნაწერებში ჩემს მეტს გამოცვლა არავის შეეძლო და თუ კრიტიკა ოდესმე პასუხს მომთხოვდა, მაშინ მე ჩემსას ვიტყოდი და აუხსნიდი *).

*) ვიდრემ ჩვენს გაზეთებში სიტყვას франпузъ français ფრანგს დაარქმევდნენ, ქართველები ჰხმარობდნენ ფრანციელი, ფრანცუცი. თვით საბა სულხან ორბელიანი ერთს თავის მოგზაურობის წერილში, რომელიც მე ვნახე ახალციხეს მეფისაანთ ხელში, ამ ხალხს ისრე ეძახის, როგორც მე. ისა სწერს: «დუკი დამავერა, კათოლიკე და კაი კაცი, ჩემობას (იტალიიდამ) ფრანციაში იყო გაძევებული. ფრანციის მეფის შვილს დოფინეს მისი ქალი ჰყავდა ცოლად“.

ამავე ლექსში მაქვს შემდეგი ადგილი: „აგერ გამოდის კალასკიდამა“, ჩანგს გადუკეთებია: „აგერ გამოდის მდიდრულ ეტლიდამ“. ჯერ მე არ ვიტყოდი მდიდრულ ეტლიდამ, რადგან გრამატიკული შეუხამებლობა იქნებოდა სიტყვებისა. კითხვაზედ საიდამ გამოვიდა?—არის პასუხი—ეტლიდამ. როგორი ეტლიდამ? — მდიდრული ეტლიდამ. მდიდრულ ეტლიდამ იქნება პასუხი კითხვისა: როგორ ეტლიდამ, და არა როგორი ეტლიდამ, და ეს კითხვა იქნება ის, როგორც რუსული კითხვა какъ съ колесницы, а не съ какой колесницы, რომელსაც სრულიად სხვა მნიშვნელობა მიეცემა. რაც შეეხება კალიასკის მაგიერად მდიდრულ ეტლის ხმარებას, ეგ ხომ სულ აბნელებს ლაპარაკის საგანს. ეტლი არის, რასაც რუსები ეტყვიან, колесница, ძველი დაბადების ანუ ბიბლიის დროისა. ეხლა მაგ სიტყვას აღარც ერთი ხალხი აღარა ხმარობს, რადგან აღარც არის იმ აგებულების შესაბმელი ჩასაჯდომი. და თუ ყველას, რასაც თვლები აქვს, დავარქვით ეტლი, მაშინ გვკითხავენ, რომელს მდიდრულს ეტლს იგულისხმებთ ამ სიტყვებშიაო: ურემს, პოვოსკას, დროგს, ტარატაიკას, კოლიმაღას, ბრიჩკას, დროშკას, ფაეტონს, კალიასკას და თუ სხვას რასმე? მდიდრული ხომ შეიძლება ურემიც იყვეს, კიბიტკაცა და სხვა.

ამავე ლექსში მაქვს ნათარგმნი: „და შუბლზედ დაღით ესე სიტყვები „საქვეყნოდ ქალი ეს ისყიდება“. ჩანგს გადუსწორებია: „და შუბლზედ სჩანან ესე სიტყვები“ და სხვ.

ანტონ ფურცელაძე

(დასასრული იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საფრანგეთის გამოჩენილმა მწერალმა ფრედერიკ ბასტიამ სთქვა: „თუ გნებავთ, რომ რომელიმე იდეია, აზრი განხორციელდეს, აუცილებლად საჭიროა, რომ ჯერ ეს აზრი ხალხში გავრცელდესო“.

ეს სიტყვები ნამდვილი ჭეშმარიტებაა. უფროსი კატონი, რომელიც, როგორცვუწყით, ბასტიაზედ დიდის ხნის წინადა სცხოვრობდა და რომელსაც უნდოდა თანამემამულეთათვის დაემტკიცებინა, რომ კართაგენი უნდა გავანადგუროთო, მუდამ ამბობდა ხოლმე: იმას გარდა, ჩემის აზრით კართაგენი უნდა განადგურდეს“-ო. ჩვენ არც ერთის ქვეყნის განადგურება არა გვსურს, პირ-იქით, გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა ისე აყვავდეს, როგორც კართაგენი, რომლის კეთილდღეობა ისე ძლიერა შურდა კატონსა. ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ რუსეთის იმპერიისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს სამეურნეო სამინისტროს დაარსება. ამას მარტო ჩვენ არა ვფიქრობთ ასე:

ჟურნალ „Земледѣлie“-ს უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია წერილი პროფესორ ბოგდანოვისა სამეურნეო სამინისტროს დაარსების შესახებ. პატივცემული პროფესორი სხვათა შორის სწერს:

ჩვენის აზრით, რუსეთისთვის ფრიად საჭიროა სამეურნეო სამინისტროს დაარსება. სამინისტროს შეძლება ფეხზედ წამოაყენოს და გააცხოველოს რუსეთის დავრდომილი მეურნეობა. ამისათვის, რასაკვირველია, საჭიროა, რომ სამეურნეო სამინისტრო ასეთი-კი არ იყოს, როგორიც ეხლა სამეურნეო დეპარტამენტია, რომელსაც ძლიერ მცირე შეძლება აქვს; სამეურნეო სამინისტროს შესაფერი შეძლებაც უნდა ჰქონდეს და სამეურნეო საქმის მცოდნე და მხნე კაცები უნდა განაგებდნენ. ძლიერ შემცდარა, ვინც ჰფიქრობს, რომ სამეურნეო სამინისტრო იგივე იქნებაო, რაც ეხლა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროა. განა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო თვალ-ყურს ადევნებს მეურნეობას? ან განა რუსეთისთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ქონებათა მართვასა და საზოგადოდ მეურნეობის გაუმჯობესობას? არა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამეურნეო სამინისტრო ძლიერ ბევრს სარგებლობას მოუტანს რუსეთს ჯერ, თუ გნებავთ, მარტო იმითი, რომ ისე გულ-გრილად არ მოეკიდება სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლის დაარსების საქმეს, როგორც სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ეკიდება. ამ უკანასკნელ სამინისტროს უმთავრესი დანიშნულება მხოლოდ სახელმწიფო ქონებათა მართვაა.

## რუსეთი

პეტერბურგში 31 აგვისტოს 1 სეკტემბრამდის ავად გახდა 61, გარდ. 15, მორჩა 54: ქ. კრონშტატში 30 აგვისტოს ავად გახდა 1, მორჩა 1; მთელს გუბერნიაში 31 აგვისტოს ავად გახდი 40, გარდ. 8, მორჩა 28.

მოსკოვში 30 აგვისტოს ავად გახდა 15, გარდ. 6, მორჩა 16; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 2, გარდ. 2, მორჩა 1.

ვარონეჟში 30 აგვისტოს მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 591, გარდ. 379.

ყაზანში 30 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 6: მთელს გუბერნიაში ორ დღის განმავლობაში ავად გახდა 245, გარდ. 77.

კიევში 30 აგვისტოს ავად გახდა 76, გარდ. 20, მორჩა 31; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 22, გარდ. 7, მორჩა 10.

კურსკში 30 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდ. 5, მორჩა 9; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 71, გარდ. 21, მორჩა 16.

ნიჟნი-ნოვგოროდში 31 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდ. 7, მორჩა 25; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 13, გარდ 6, მორჩა 8.

პენზაში 27—28 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 7, მორჩა 22; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 126, გარდ. 57, მორჩა 46.

სამარაში 30 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 3, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 638, გარდ. 255, მორჩა 307.

სარატოვში 30 აგვისტოს ავად გახდა 5, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 595, გარდ. 293.

ხარკოვის გუბერნიაში 30 აგვისტოს ავად გახდა 37, გარდ. 17.

ურალსკში 28—31 აგვისტოს ავად გახდა 60, გარდ. 22, მორჩა 6; მთელს ოლქში ავად გახდა 256, გარდ. 80.

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის ერთს ვარსკვლავთ-მრიცხველს გამოუანგარიშნია, რამდენი სისხლი და ღვრილა მთელს ქვეყნიერობაზედ. ამ ანგარიშით მარტო განათლებულს ქვეყნებში 3,000 წლის განმავლობაში დახოცილა 1,200 მილიონი კაცი და მაშასადამე 18,900 მილიონი გირვანქა ადამიანის სისხლი დაღვრილა. ამ 1,200 მილიონ ადამიანთა ჩონჩხები რომ ერთმანეთზედ დავაწყოთ, დედამიწიდგან მთვარემდე ასწვდებაო.

— ქ. მონტერში (მექსიკაშია) ამას წინად გარდაიცვალა გუბერნატორის გალანის ბებია, 135 წლისა. ეს დედაკაცი ისპანიაში დაბადებულა და ამ ასის წლის წინად გადასახლებულა მექსიკაში.

— ამერიკის შეერთებულს შტატებში ამ ჟამად აუარებელი საკერავი მაშინები კეთდება. უმთავრესი ქარხანა ამ მაშინებისა ქ. ელიზაბენშია. ამ ქარხანაში ყოველ დღე 1,500 მაშინა კეთდება თურმე. ქარხანა დღეში 10 საათს ჰმუშაობს და მაშასადამე ერთს წამში ორს მაშინას აკეთებს.

— 83 წლის პოეტს ლორდ ტენნისონს კიდევ დაუწერია დრამა, რომელიც ამ წლის დამლევს დაიბეჭდება.

— ისპანიის ორს ექიმს, აკოსტასა და გრანდე-როსსის, ბაქტერიოლოგიურად გამოუძიებიათ ფულის ქაღალდი მიკრობ-ბაქტერიის მხრივ და აი რა აზრს დასდგომიან: რამდენიც უფრო ბევრს ხანს არის ფული ხმარებაში, წონით იმდენი უფრო მძიმდება, რადგან ჭუჭყს იკრავს, და ეს ჭუჭყი-კი ძალიან კარგი ნიადაგია ბაცილების გასამრავლებლადაო. აკოსტას და გრანდე-როსსის ერთს ქაღალდის ფულზედ 19,000 ბაცილა დაუთვლიათ. ამ მიკრობთა შორის უმეტესობა ჭლექისა, წითელის ქარისა და სახადისებურ ანთების ბაცილები იყო თურმე.

— რა გგონიათ, ექიმი კოხი როგორა სჭამს ხილსა? აი ამის პასუხს იძლევა ბერლინის ერთის გაზეთის რეპორტერი: ხილი ამ ხოლერობის დროს მეტად ძნელი და საფრთხილით სახმარებელია, მაგრამ ექიმი კოხი-კი მაინც არხეინად შეექცევა თავისს საყვარელს მსხალს. რაღა თქმა უნდა, რომ სახმარებლად სრულიად მწიფე და წაუხდარს ნაყოფს არჩევს. მსხალს კარგად სწმენდავს და სადეზინფექციო წამლებსასხურებს. შემდეგ ექიმი ხელებზედაც ისხურებს ხოლმე სადეზინფექციო წამლებს და მსხალს სადეზინფექციო დანითა სჭრის. ყოველსავე ამ სიფრთხილეს იხმარებს, მერე ისე სჭამს მსხალს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენის სოფლის კასპის სასანიტარო მზრუნველი თავ. თეიმურაზ ივანეს მე ამილახვარი სწერს «ივერიის» № 176-ში, ვითომც მე ხოლერის გაჩენისთანავე, გავიპარე სხვაგან და თან წავიღე სოფლიდგან გამოგზავნილი წამლები და სადეზინფექციო საშუალებანი. ყველაზედ ადვილი საქმე გახლავთ თავის-თავის ქება და სხვისი ძაგება. სწორედ ამ საადვილო საქმისათვის წამოუვლია ხელი თავ. თ. ი. ამილახვარს და არ ვიცი, ვინ უნდა გააკვირვოს მაგით. ჯერ ერთის კაცის მეტი არ იყო ავად კასპში, ისიც

საეჭვოდ, რომ მაშინვე თავის ცოლ-შვილით თ. ამილახვარმა თავი მოარიდა და წავიდა ორის კვირით ზემო ქართლში. ბრძანებს—სადეზინფექციო საშუალებანი თან წაიღოო. ვთქვათ უცხო კაცები დაეჯერა ამაში, სოფელმა ხომ კარგად იცის, რომ არამც თუ მოტანილი წამლები, არამედ ჩემის ფულით ნაყიდიც-კი დავურიგე კასშელებს. მით უმეტესს მაკვირვებს ასეთი ცილის წამება, რომ თავ. თ. ამილახვარმა კარგად იცის, როგორა ვართ ერთმანეთში მე და კასპის გლეხობა. არა თავის საქებრად, არამედ სიმართლის დასამტკიცებლად მოვაგონებ თავ. ამილახვარს, რომ, როდესაც კასპელები სკოლის გაკეთებას აპირებდნენ, მიჰმართეს მისს ბრწყინვალებას და სთხოვეს სასკოლე ადგილი. თავ. ამილახვარმა ორასი თუმანი დაუფასა. სოფელმა მომმართა მაშინ მე, ამილახვრის მიერ უბად-აღებულ საწყალ კაცს, და მე ორი იმოდენა ადგილი მუქთად დავუმტკიცე სოფელს — ეხლა იმ ადგილზედ არსებობს სკოლა. ნუ თუ ამ მაგალითის შემდეგ ჩემს მეზობელს იმოდენა კადნიერება უნდა გამოეჩინა, რომ ჩემთვის დაებრალებინა რაღაც ხუთის მანეთის საშუალებათა მოპარვა! მით უმეტეს არ ეკადრებოდა თავ. ამილახვარს ასეთი უსამართლო ცილის წამება, რომ რაც-კი მე წამლები მქონდა, სულ მისსავე მოჯამაგირეს ალექსის გავატანე დასარიგებლად წილისადა გვარად, ვისაც რა შეხვდებოდა. ას-ოთხმოც კომლზედ თუ მეტი არა, ნაკლები არ არის კასპში, და ყველამ მიიღო თავ თავიანთ ხვედრი სადეზინფექციო წამალი. მაშ რაღას მედავება ნეტა თავ. თ. ი. ამილახვარი! ნუ თუ მაგისთანა წვრილმანებით ჰგონია მოიხვეჭოს იაფი სახელი და დამამციროს მე! ტყუილი იმედი გახლავთ!

გ. ქარუმიძე

## დეპეშა

8 ენკენისთვე.

**ვარშავა.** პოზნანიდგან 5 სექტემბერს ლოძს მოსულმა თავადმა რაძივილმა, რომელიც სულით არის ავად და წარმოიდგინა მე მდევნიანო, დაიწყო იმ „გრანდ-ოტელის“ ფანჯრიდგან და კარებიდგან რევოლვერის სროლა, რომელშიაც თითონა სდგას, და კარ-ეზოს მეთვალყურე დასჭრა. ეხლა თავადი რაძივილი კერძო სამკურნალოში იმყოფება.

პეტერბურგის ბირჟა, 4 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,87 | 7,90 | — „ |
| ტჳამოყნის კუპონები . | 157 | 158 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 236½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 218 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 191 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102¼ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 99,87 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | 99,87 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98½ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლ ი თ, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

**ფოთიდგ გადის:ან**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

**ნ ი ხ რ ი**

1892 წ. 3 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 7 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

## განცხადებანი

ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ.

(10—5)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—105)

### „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტ ტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—20)

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

## ბრძოლა

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**

ანუ

გიორგი სააკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემსაზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერაკითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

### ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5
2) „ჩხუბი ერთი კევრცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5
3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5
4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80
5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50
6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30
7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

## ქუთაისში

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—1)

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათეიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ჳ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—10)

## თამბაქოს ფაბრიკა

### ნიკოლოზის ივანეს ძის ბოზარჯიანცისა

**ტფილისში**

არსებობს 1858 წლიდგან.

მივაქცევ პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას ჩემს ფაბრიკაში საფრანგეთის საუკეთესო ქაღალდით მომზადებულს დაუწებებელს პაპიროსს, რომელიც კეთდება განსაკუთრებულის მაშინებით, ძალიან რიგიანადა და სუფთად. ამ გვარად მომზადებულს პაპიროს, ბ-ნთ მომხმარებლებს სახამებლის არა-სასიამოვნო გემოს აცილებს თავიდგან.

ახალად მივიღეთ დიდ-ძალი საუკეთესო ოსმალეთის სურნელოვანი თამბაქო, რომელსაც პაპიროსადაც ვაკეთებთ, თამბაქოდაც ვყიდით ყოველ შემომკვეთლის გემოვნების, დიდად ზომიერ ფასად.

შემომკვეთლებს შეუძლიანთ მიჰმართონ სასახლის ქუჩაზედ, № 1.

(10—4)

## ბუნების კარი

დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუხალთუნი (90 კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურადდავინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.

სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი;

## ზ ა ლ ი ბ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვისმიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ დი ჰღირს 40 კაპ.